პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორგანო

კომუნისტი

სკპ(ბ) ცენტრ. და ცკ. კომინტერნის და სკპ. ცკ-ის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კასტორის—3—31.

ორშაბათი
21
მაისი
1934 წ.
№ 116 (3972)

დღეს ნომერში

— **ამხ. ლიტვინოვის** ყოფნა ჟენევაში იწვევს ევროპის პოლიტიკური წრეების განსაკუთრებულ ინტერესს.
— **ბულგარეთში** შესდგა სამხედრო დიქტატურის მთავრობა.
— **ერთა ლიგის საბჭომ** გადადო საარის საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანა.
— **ლატვიაში** პარლამენტის ფუნქციები გადაეცა მთავრობას.
— **15 მაისისათვის** საბჭოთა კავშირში დათესილია 67.207 ათასი ჰექტარი, გეგმის 72.3 პროც.
— **„კრასინი“** შეევიდა პროვიდ **ენიეს უბეში**.
— **აზერბეიჯანში** მოეწყო სუბტროპიკული ტრესტი.
— **ტყიბულის** საბადოს აღმ. სავლეთ ნაწილის დამუშავების პროექტის დამტკიცება.
— **სოცშეჯიბრება** საქართველოს ლოკ. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებს შორის.
— **მარგანეცის** გამომუშავები ს გეგმა 18 მაისს შესრულდა 107,3 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგაშო ჩამორჩენა ბაღეგისა და ვენახების შეწამვლაში

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის 16 მაისის დადგენილებით სცნო, რომ მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა მიმდინარეობს სრულიად არადამაკმაყოფილებლად. როგორც ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაშია ნათქვამი, ბაღების პირველი შეწამვლა ფაქტიურად **ჩაშლილია** საქართველოს ყველა რაიონში.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ვენახების წამლობის მხრივაც. არც საქართველოს მიწსახკომს და არც ადგილობრივ პარტიულ-საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანიზაციებს ბაღ-ვენახების წამლობისათვის დღემდე არ მიუქცევიათ თითქმის არავითარი ყურადღება. ამას სხვათა შორის მოწმობს ის ფაქტი, რომ ბაღებისა და ვენახების შეწამვლის, შესაწამლი მასალის მომარაგების და სხვ. ამგვარ საკითხების შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება საქართველოს მიწსახკომს. ბევრგან რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა არ იციან როგორ მიმდინარეობს ბაღებისა და ვენახების შეწამვლა და ეს საქმე მინდობილია აშკარა თვითდინებაზე.

მოვიყვანთ რამოდენიმე ფაქტს ცალკე რაიონებიდან ბაღ-ვენახების შეწამვლის საქმეში დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს მიწსახკომის მიერ **ტყიბულის** რაიონისათვის გადაგზავნილი შაბიამანი 2.108 კილოგრამის რაოდენობით დიდიხანია აწყვია ქუთაისის საწყობში, ვენახების პირველი შეწამვლის ვადა უკვე ამოიწურა, ტყიბულის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს კი შაბიამანი ქუთაისიდან ჯერ კიდევ არა აქვთ გამოსყიდული და შეწამვლა დაწყებული. **ცაგერის** რაიონში დღემდე არ დაწყებულა ბაღების შეწამვლა, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ **ვერ მოუხერხებიათ შესაწამლი მასალის გადაზიდვა ქუთაისიდან ცაგერში.**

ვანის რაიონს ვენახების პირველი და მეორე შეწამვლისათვის საჭირო მასალა აქვს, ვენახების პირველი შეწამვლის გეგმა კი იქ შესრულებულია მხოლოდ 2,5 პროცენტით. **ლიუჩემბურგის** რაიონში შესაწამლია ვენახი დაახლოებით ათას ჰექტარამდე, რაიონს შეწამლა 5 მაისიდან უნდა დაეწყო, ფაქტიურად ეს სამუშაო იქ დაწყებული არ იყო 19 მაისისათვის. **ზესტაფონის** რაიონს ადგილობრივ აქვს ვენახების პირველი და მეორე წამლისათვის საკმარისი შესაწამლი მასალა, მიუხედავად ამისა, იქ ვენახების შეწამვლის გეგმა შესრულდა მხოლოდ 36 პროცენტით.

კახეთის რაიონებიდან ყველაზე უფრო საგანგაშო მდგომარეობაა **გურჯაანის** რაიონში. აქ შესაწამლია 4.000 ჰექტარზე მეტი ვენახი. რაიონს ადგილობრივ საწყობებში აქვს 124 ტონაზე მეტი შაბიამანი. შეწამლა კი ჩატარებულია მხოლოდ 165 ჰექტარზე.

მთელი რიგი რაიონები, იმის ნაცვლად, რომ გაშალონ დამკვირვებელური მუშაობა ბაღ-ვენახების შეწამლის სამუშაოთა ვადაზე დამთავრებისათვის, დაობენ იმის შესახებ, აწორია თუ არა შეწამლის ნორმები, რომელიც დაწესებულია სადა. რექტივო ორგანების მიერ. არის რაიონები (ვანი, ზესტაფონი და სხვა) რომლებიც წუწუნებენ იმაზე, რომ მათ შაშები არ ყოფნით მესამე შეწამლისათვის ამავე დროს კი ხელიდან უშვებენ ვადებს და არ იყენებენ თვით იმ საშუალებებსაც კი, რომლებიც მათ განკარგულებაშია ბაღეენახების **პირველი და მეორე** შეწამლის დროზე ჩატარებისათვის.

შეიძლებელია ამ სამარცხვინო ჩამორჩენის კიდევ გაგრძელება. გამა შეიძლება იმის ერთი წუთით მოთმენა, რომ შესაწამლი მასალის ათასეული ტონა მარაგი ადგილებზე იყოს და ძვირ დროს მავნებლები ანადგურებდნენ ბაღებსა და ვენახებს? იუთუ საჭიროა იმის მტკიცება, რომ ვენახებისა და ხეხილის ბაღები საჭიროებენ სისტემატიურ მკურნალობას, მაინებლებისაგან დაცემას, რომ შეწამლილია და მოვლის უხეირიოდ დაყენების გამო მავნებლებს გაუნადგურებიათ საუკეთესო ვენახები და ბაღები. განა ეს არ ავალებდა **ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს** მიეღოთ სათანადო წინასწარი ზომები მებაღეობა-მევენახეობის, სოფლის ნეურნეობის ამ ძვირფასი დარგის სანიმუშოდ მოვლა-დაცვისათვის?

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩამორჩენა ხეხეთის რაიონებში. გურჯაანის, თელავის, სიღნაღის და ყვარელის რაიონების სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს მევენახეობა წარმოადგენს. ამ რაიონების ეკონომიური განმტკიცება და ყველა კოლმეურნეობა შეძლებულებად გადაქცევის ლოზუნგის განხორციელება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ დააყენებენ ეს რაიონები შემოსავლიანობის თვალსაზრისით მევენახეობას.

მისი მოვლისა და დაცვის მხრივ სწორედ ამ რაიონებში გვაქვს **ყველაზე უფრო ცუდი** მდგომარეობა.

ამ სამარცხვინო ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსწორება აბსოლუტურად აუცილებელია. ამისათვის უპირველესად ყოველისა საჭიროა **ცენტრში და ადგილებზე არსებული შესაწამლი მასალის (შაბიამანი, გოგირდი, პარიზის მწვანე და სხვ.) გამოვლინება, მისი ხარისხის შემოწმება საჭიროების მიხედვით რაიონებს შორის გადანაწილება და დაუყოვნებლივ დანიშნულების ადგილზე მიტანა.**

მობილიზებული უნდა იქნას მთელი აგროპერსონალი, ფეხზე იქნას დაყენებული სოფლის თვალი ბრომის უნარიანი მოსახლეობა ბაღებისა და ვენახების შეწამლის და ყველა იმ მარტივ ღონისძიებათა გატარებისათვის, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ ბაღ-ვენახების დაცვა მავნებლებისაგან.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული **დაზმარების აღმოჩენა მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთათვის.**

საჭიროა რათა ბაღებისა და ვენახების შეწამლის დავალებათა შესრულებას ხელი მოკიდონ უშუალოდ **პარტიის რაიკომებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა და რაიაღმასკომებმა.** საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ ამ სამუშაოს მიმდინარეობა თითეულ სოფელში, თითეულ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობაში შემოწმდეს **სისტემატიურად** და მიღებული იქნას **სასტიკი ზომები** მათ მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ ბაღეენახების შეწამლის დავალებებს.

მთელი ძალები და მთელი ენერგია საგანგაშო ჩამორჩენის სასწრაფოდ ლიკვიდაციას ბაღებისა და ვენახების შეწამლის საქმეში.

ფაშისტური გადატრიალება გულგარეთში

შედგა სამხედრო დიქტატურის მთავრობა

ბერლინი, 19 მაისი. სოფიიდან მიღებული ცნობებით **მუშანოვმა** ვერ მოახერხა მთავრობის შედგენა. შედგენილია სამხედრო დიქტატურის. მთავრობა გზათა ყოფილი მინისტრის **გეორგიევის** მეთაურობით, რომელიც ყველაზე უფრო მახლობელი მომხრეა **ცანკოვისა** („დემოკრატიული შეთანხმების“ ფაშისტური კოალიციის ბელადი). ბულგარეთის საagენტო იუწყება: „ძმადფრესი ეკონომიური კრიზისის მომენტში მეფემ გუშინ დანიშნა ახალი მთავრობა სახელმწიფოს მართვაში არმიის ჩაბმით, რათა გამოსწორდეს მძიმე შინაპოლიტიკური მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნას ძლიერი ნაციონალური მთავრობა“.

დაწვრილებითი ცნობები გადატრიალების შესახებ

სტამბოლი, 20 მაისი. თურქეთის გაზეთები ათავსებენ ზოგიერთ დაწვრილებითი ცნობებს ბულგარეთში მომხდარი გადატრიალების შესახებ. სამინისტროების შენობები დაკავებულია პოლიციის მიერ. ყოფილი პრემიერი **მუშანოვი** დაპატიმრებულია. სოფიას ქუჩებში სრულია. მთავრობამ გამოუშვა მოსახლეობისადმი საპროგრამო მანიფესტი, რომელშიც აცხადებს პარლამენტარიზმის ლიკვიდაციის შესახებ. მანიფესტში შეიცავს „ძლიერი ავტორიტეტული, ავტორიტარული ხელისუფლების“ ქებადიდებას და სოციალური პოლიტიკის საკითხებში იგი დამახასიათებელია თავისი სოციალური დემაგოგიით, რაც მდგომარეობს უმუშევართათვის დახმარება. სა და გლეხური მეურნეობის გაჯანსაღების დაპირებაში (ადს).

პარლამენტის დათხოვნა

ბერლინი 19 მაისი. სოფიიდან მიღებული ცნობით, მეფემ გამოსცა დეკრეტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ (ადს).

ბულგარეთის განთავისუფლება—საუკეთესო პროლეტარიატის საქმე

პარიზი, 18 მაისი. „ლუმანიტემ“ მოათავსა **ბარბიუსის** მოწოდება ყველა მშრომელისადმი მიღოს აქტიური მონაწილეობა 20 მაისს ანტიფაშისტური დღის ჩატარებაში, გაძლიერონ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და ამხ. **ტელმანის** განთავისუფლებისათვის. **ტელმანის განთავისუფლება**—ნათქვამია მიმართებაში **ბულგარეთის მუშების ბრძოლა ამხ. ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის**

ლონდონი, 19 მაისი. გერმანიის საელჩოს ეწევა სხვადასხვა ორგანიზაციების დელეგაცია ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლების ჰოსათხოვნად. დელეგაციას განუცხადეს დღეს, რომ ელჩი შეხობაში არ იმყოფება და რომ ის შესძლებს მიიღოს დელეგაცია მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. დელეგაციამ შეადგინა სასწრაფო დეპეშა **ჰიტლერის** სახელზე, რომელშიც მოითხოვს ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. **„ინვლისის მუშათა კლასის სახელით,**—ნათქვამია დეპეშაში, — **ჩვენ ვაცხადებთ, რომ ნაციონალ-სოციალისტური მთავრობა პასუხისმგებელია ტელმანის უშიშროებისათვის“** (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ჟენევაში

ჟენევა, 18 მაისი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ლიტვინოვი** აქ ესაუბრა განიარაღების კონფერენციის სამდივნოს წარმომადგენლებს კონფერენციის პერსპექტივების შესახებ. მოზდა აგრეთვე ლიტვინოვის და ბარტუს შეხვედრა, რომლის დროსაც მათ საუბარი ჰქონდათ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. ჟენევაში ლიტვინოვის ყოფნა ჟენევის პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ლიტვინოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ განიარაღების გენერალური კომისიის და განიარაღების საკითხზე შემდგომი მოლაპარაკების პერსპექტივების თვალსაზრისით. იტყობინება რა ლიტვინოვის ჩამოსვლას, ჟენევის გაზეთი „ტრავაი“ ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საგარეო - პოლიტიკური საქმიანობის, უდიდეს მნიშვნელობას მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში. (ადს).

მდგომარეობა ლატვიაში

ულმანისის დეკლარაცია

რიგა, 19 მაისი. პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა **ულმანისმა** გუშინ საღამოს ლატვიის ხალხს მიმართა სიტყვით, რომელიც რადიოთი იქნა გადაცემული.

ულმანისის სიტყვით, მთავრობის წევრები არიან უკვე არა პარტიული ადამიანები, არამედ თავისი დარგის სპეციალისტები. მაგრამ,—თქვა ულმანისმა—არ ონდა მივეცეთ ოცნებას, რომ ყველა სიბნელე გაქრება ჯა ფოსფორი ყველგან აბრეშით. სიძნელენი უამრავი იქნება. დაუკმაყოფილებელი ელემენტები შეეცდებიან მთავრობას დაბრკოლებანი შეუქმნან. მთავრობა მზად არის აღკვეთოს წინააღმდეგობა. შემდეგ ულმანისი განაცხადა, რომ მთავრობა აგრეთვე პოლიტიკას სულისკვეთებით პარტიული ბრძოლის მეთოდების აღდგენის ყოველგვარ ცდას. თავისი პირადობრი ამოცანებისაგან დამოუკიდებლად, მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება კონსტიტუციის რეფორმის მომზადებას. რათა რაც შეიძლება მალე იქნას სამუდამოდ უზრუნველყოფილი 15 მაისის მოვლენები. საგარეო პოლიტიკის საკითხებს ულმანისი არ შეხებია (ადს).

ესტონეთის განთავისუფლება—საუკეთესო პროლეტარიატის საქმე

პარიზი, 18 მაისი. „ლუმანიტემ“ მოათავსა **ბარბიუსის** მოწოდება ყველა მშრომელისადმი მიღოს აქტიური მონაწილეობა 20 მაისს ანტიფაშისტური დღის ჩატარებაში, გაძლიერონ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და ამხ. **ტელმანის** განთავისუფლებისათვის. **ტელმანის განთავისუფლება**—ნათქვამია მიმართებაში **ესტონეთის მუშების ბრძოლა ამხ. ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის**

ლონდონი, 19 მაისი. გერმანიის საელჩოს ეწევა სხვადასხვა ორგანიზაციების დელეგაცია ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლების ჰოსათხოვნად. დელეგაციას განუცხადეს დღეს, რომ ელჩი შეხობაში არ იმყოფება და რომ ის შესძლებს მიიღოს დელეგაცია მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ. დელეგაციამ შეადგინა სასწრაფო დეპეშა **ჰიტლერის** სახელზე, რომელშიც მოითხოვს ტელმანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. **„ინვლისის მუშათა კლასის სახელით,**—ნათქვამია დეპეშაში, — **ჩვენ ვაცხადებთ, რომ ნაციონალ-სოციალისტური მთავრობა პასუხისმგებელია ტელმანის უშიშროებისათვის“** (ადს).

ერთა ლიგის საბჭომ გადადო საარის საკითხის გადაწყვეტა

ჟენევა, 18 მაისი. ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა გადადოს საარის საკითხის გადაწყვეტა საბჭოს საგანგებო სესიამდე, რომელიც დანიშნულია 30 მაისისათვის ოფიციალურად ეს გადაწყვეტილება დასაბუთებულია გარანტიების შესახებ გერმანიის პასუხის მიუღებლობით. მაგრამ ფიქრობენ, რომ გერმანიამ გასცა უარყოფითი პასუხი. გადაწყვეტილების მიღება გადაიდო ზოგიერთი დელეგაციის მოთხოვნით, რათა გერმანიასთან ახალი მოლაპარაკება იქნას გამართული (ადს).

გერმანიის პროლეტარიატი არ დაივიწყებს ფაშისტ-ჯალათების სიმხეცეს

ჰამბურგის ციხეში დასაჯეს 4 კომუნისტი

ბერლინი, 19 მაისი. დღეს ჰამბურგის ციხის ეზოში სიკვდილით დასჯეს მუშა კომუნისტები **დეტმერი, ფიშერი, შმიდტი და ვერნებერგი.** სასამართლომ 2 მაისს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა მათ იმ ბრალდებით, რომ ისინი წითელფრონტელთა კავშირის წევრებად ყოფნის დროს თითქოს მონაწილეობას იღებდნენ რამდენიმე წლის წინათ მომხდარ შეტაკებაში ნაციონალ-სოციალისტებთან. ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ ცნობით, თვით ერთ-ერთი ოფიციალური დამცველი ვექილი **პონტიც** კი თავის სიტყვაში იძულებული იყო გამოეკვლევინა, რომ ძიების დამაძიმებელი მასალები საკმარისი არ იყო. ყოველგვარი სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი საზღვარგარეთთან შეწყვეტილია (ადს).

ფრანგ მეცნიერთა დელეგაცია უკრაინაში

ხარკოვი, 19 მაისი. ფრანგ მეცნიერთა დელეგაციამ 18 მაისს დაათვალიერა მთელი რიგი ინსტიტუტები და წითელი არმიის სრულიად უკრაინის სახლი. დელეგაცია დაესწრო კულტურული კავშირის უკრაინის საზოგადოების მიერ ფრანგი სტუმრების პატივსაცემად. მოწყობილ დარბაზობას.

ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის საპატიო სტუმართა წიგნში აკადემიკოსმა პეტროხა შემდეგი ჩაწერა.

„ჩვენ ფრიად ბედნიეროი ვართ, რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმ დიდ შეიარაღებაზე, რომელიც ჩვენში დატოვა უკრაინის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის დათვალიერებამ. პრობლემები, რომლებსაც აქ იკვლევენ, ეკუთვნის ფრიად საინტერესო პრობლემებს ფიზიკის წმინდა ინსტიტუტის დაოგში და მათი დამუშავება ხდება უაღრესად თანამედროვე საფუძველზე. ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, რომ საბჭ. კავშ. უდიდეს ძალისხმევს ხმარობს ისეთ გამოკვლევათა დარგში, რომელთა უშუალო პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია, მაგრამ რომლებიც ადრე თუ გვიან გამოყენებისათვის იქნება პრაქტიკაში და მიგვიყვანს კაპიტალისტურთან ფრიად სასარგებლო ალმოჩენებამდე.

18 მაისს საღამოს ფრანგი მეცნიერნი გაემგზავრენ ლენინგრადში (ადს).

მოლოტოვი ტყიბულის ახალი ნაწილის დამუშავების პროექტის დამტკიცება

მოსკოვი, 19 მაისი. ქვანახშირის მრეწველობის მთავარმა სამმაოთველომ დაამტკიცა ტყიბულის საბადოს აღმოსავლეთ ნაწილის დამუშავების პროექტი. უბნის წლიური ნაყოფიერება სავარაუდევია 200 ათასი ტონა ქვანახშირი. სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულება — 1.300 ათასი მანეთი. (ადს).

კულტურის და დასვენების ბაღში გაიხსნა საზაფხულო სეზონი

მოსკოვი, 19 მაისი. 18 მაისს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა საზაფხულო სეზონი. გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში მოწაწილეობას ღებულობდა 500 ათასი მოსკოველი. კულტურისა და დასვენების პარკი 18 მაისს ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ-მა ბულიტმა.—ჩე პირველად არა ვარ პარკში,—განაცხადა ბ-მა ბულიტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს.—პირველად დანაბეჭდისთანავე იგი ძალიან შემიყვარდა. ყოველთვის, როცა აქ მოვდივარ, უფრო და უფრო ერწმუნდები, რომ ეს ყველაზე ბედნიერი პარკია მსოფლიოში. აქ ბედნიერი არიან ბავშვები, ქმაყოფილი არიან მოხუცები და ახალნის ახალგაზრდობა ამ პარკს ამერიკის ვერც ერთი პარკი ვერ შეედრება. კულტურის და დასვენების ცენტრალური პარკი—ეს საუცხოო მიღწევაა, რომელითაც სამართლიანად შეუძლიათ დამაყონ არა მარტო მისმა მუშაკებმა, არამედ მოილმა დედაქალაქმაც, მთელმა თქვენმა ქვეყანამაც (ადს).

ტყიბულის საბადოს აღმ. ნაწილის დამუშავების პროექტის დამტკიცება

მოსკოვი, 19 მაისი. ქვანახშირის მრეწველობის მთავარმა სამმაოთველომ დაამტკიცა ტყიბულის საბადოს აღმოსავლეთ ნაწილის დამუშავების პროექტი. უბნის წლიური ნაყოფიერება სავარაუდევია 200 ათასი ტონა ქვანახშირი. სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულება — 1.300 ათასი მანეთი. (ადს).

კულტურის და დასვენების ბაღში გაიხსნა საზაფხულო სეზონი

მოსკოვი, 19 მაისი. 18 მაისს გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა საზაფხულო სეზონი. გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში მოწაწილეობას ღებულობდა 500 ათასი მოსკოველი. კულტურისა და დასვენების პარკი 18 მაისს ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ-მა ბულიტმა.—ჩე პირველად არა ვარ პარკში,—განაცხადა ბ-მა ბულიტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს.—პირველად დანაბეჭდისთანავე იგი ძალიან შემიყვარდა. ყოველთვის, როცა აქ მოვდივარ, უფრო და უფრო ერწმუნდები, რომ ეს ყველაზე ბედნიერი პარკია მსოფლიოში. აქ ბედნიერი არიან ბავშვები, ქმაყოფილი არიან მოხუცები და ახალნის ახალგაზრდობა ამ პარკს ამერიკის ვერც ერთი პარკი ვერ შეედრება. კულტურის და დასვენების ცენტრალური პარკი—ეს საუცხოო მიღწევაა, რომელითაც სამართლიანად შეუძლიათ დამაყონ არა მარტო მისმა მუშაკებმა, არამედ მოილმა დედაქალაქმაც, მთელმა თქვენმა ქვეყანამაც (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ჟენევაში

ჟენევა, 18 მაისი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ლიტვინოვი** აქ ესაუბრა განიარაღების კონფერენციის სამდივნოს წარმომადგენლებს კონფერენციის პერსპექტივების შესახებ. მოზდა აგრეთვე ლიტვინოვის და ბარტუს შეხვედრა, რომლის დროსაც მათ საუბარი ჰქონდათ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. ჟენევაში ლიტვინოვის ყოფნა ჟენევის პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ლიტვინოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ განიარაღების კონფერენციის და განიარაღების საკითხზე შემდგომი მოლაპარაკების პერსპექტივების თვალსაზრისით. იტყობინება რა ლიტვინოვის ჩამოსვლას, ჟენევის გაზეთი „ტრავაი“ ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საგარეო - პოლიტიკური საქმიანობის, უდიდეს მნიშვნელობას მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში. (ადს).

მდგომარეობა ლატვიაში

ულმანისის დეკლარაცია

რიგა, 19 მაისი. პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა **ულმანისმა** გუშინ საღამოს ლატვიის ხალხს მიმართა სიტყვით, რომელიც რადიოთი იქნა გადაცემული.

ულმანისის სიტყვით, მთავრობის წევრები არიან უკვე არა პარტიული ადამიანები, არამედ თავისი დარგის სპეციალისტები. მაგრამ,—თქვა ულმანისმა—არ ონდა მივეცეთ ოცნებას, რომ ყველა სიბნელე გაქრება ჯა ფოსფორი ყველგან აბრეშით. სიძნელენი უამრავი იქნება. დაუკმაყოფილებელი ელემენტები შეეცდებიან მთავრობას დაბრკოლებანი შეუქმნან. მთავრობა მზად არის აღკვეთოს წინააღმდეგობა. შემდეგ ულმანისი განაცხადა, რომ მთავრობა აგრეთვე პოლიტიკას სულისკვეთებით პარტიული ბრძოლის მეთოდების აღდგენის ყოველგვარ ცდას. თავისი პირადობრი ამოცანებისაგან დამოუკიდებლად, მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება კონსტიტუციის რეფორმის მომზადებას. რათა რაც შეიძლება მალე იქნას სამუდამოდ უზრუნველყოფილი 15 მაისის მოვლენები. საგარეო პოლიტიკის საკითხებს ულმანისი არ შეხებია (ადს).

პარლამენტის ფუნქციები მცირე კაბინეტს გადაეცა

რიგა, 19 მაისი. მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ იგი შეასრულებს პარლამენტის ფუნქციებს, დაინიშნა ეკონომიურებული მინისტრთა მცირე კაბინეტი, რომელსაც ეკისრება ყველა იმ კანონპროექტის და დადგენილების წინასწარი გარჩევა, რომლებიც მთავრობის განსახილველად შემოდის. მინისტრთა მცირე კაბინეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ვიცე პრემიერი **სკუენიკსი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს დანიშნა ჯვილდო ორი ათასი ლატის ოდენობით ორაღის საწყობების მითითებისათვის (ადს).

ლატვიის ახალი გაბოლ-პატრონები ბალტიკის სახელმწიფოთა დაახლოებების მოწინააღმდეგენი არიან

კაუნასი (ტელეგრ.). „ლიტვოს უნიონისტი“ რიგიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ მემარჯვენე პარტიები, რომელნიც ლატვიაში ხელისუფლების დაიპატრონეს, ბალტიკის სახელმწიფოთა დაახლოების მოწინააღმდეგენი არიან. გაზეთი გაკვირვებით შენიშნავს, რომ ლატვიაში მოსზდარი გადატრიალების ერთ-ერთი ამოცანა იყო ბალტიკის ბლოკის შექმნა (ადს).

აჯანყებულთა მოძრაობა იაპონიის წინააღმდეგ

ბეიპინი, 15 მაისი. ხარბინის იაპონური გაზეთი „მინსიუნიპაო“ აღნიშნავს, რომ სუნგარის ქვემო ნაწილში სო ვენ-დუნის მეთაურობით მოქმედებს 10 ათასი „ბანდიტი“.

ხარბინიდან სუნგარის ქვემო ნაწილში გაიგზავნა 4 კანონერი, ფუდინიდან—12 კანონერი. „ბანდიტების“ წინააღმდეგ გაგზავნა აგრეთვე კვანტუნის არმიის ავიაორაზმი. ჩინური გაზეთების გადმოცემით, გირინის არმიიდან წასული 300 კარგად შეიარაღებული აჯანყებული, „ბანდიტებთან“ ერთად, ამჟამად თავდასხმას ემზადებიან (გირინი ჰოირინის გზის რაიონში). იაპონია მანჯურიის ხელისუფლებამ ვანცინში გააძლიერა მცველი რაზმი (ადს).

მოითხოვენ ნეიტრალიტეტის დაცვას

ნიუ-იორკი, 18 მაისი. ამერიკის შეერთებული შტატების 100-ზე მეტი კოლეჯის რექტორები რუზველტისადმი მიმართულ წერილში ხაზგასმით აღნიშნავენ ომის საფრთხეს შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპაში და მოუწოდებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს გადადგას „საგანგებო ნაბიჯები“ ნეიტრალიტეტის დასაცავად. წერილში წამოყენებულია წინადადება, რომ აიკრძალოს საბრძოლო მასალის და კრედიტების მიწოდება ყველა მეომარი მხარისათვის, აგრეთვე გადადგმულ იქნას ნაბიჯები ერთა ლიგისადმი ამერიკის შეერთებული შტატების შესაერთებლად. წერილზე ხელს მომწერთა შორის არ ჩანან უდიდესი უნივერსიტეტების რექტორები (ადს).

ამხ. შმიდტი და უშაკოვი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 20 მაისი. ნიუ-იორკში ჩამოვიდენ **შმიდტი და უშაკოვი.** მათ შეხვდენ საბჭოთა საკონსულოს „ამტორგის“, კულტურული ურთიერთობის ამერიკა-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წარმომადგენლები ავრეთვე არქტიკის ცნობილი მკვლევარი **სტეფანენონი.**

საღამოს შმიდტი რადიოთი მიესალმა ადმირალ ბერდს მანაკს საშორეთ პოლუსთან. ანტარქტიკის მკვლევართადმი მიმართულ სიტყვაში შმიდტი შეეხო „ჩელუსკინის“ ლაშქრის მიმართ გერმანელი ფაშისტების ბოროტმოქმედებას და საბჭოთა ხსნა ექსპედიციებს შეკრიტიკაში (ადს).

რკინის გზების აფეთქების ცდები ავსტრიაში

ბერლინი, 15 მაისი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო ვენიდან იტყობინება, რომ გასულ ღამეს მთელს ავსტრიაში მოხდა რკინის-გზების აფეთქების მრავალი ცდა. მთელ რიგ ადგილას აფეთქებულ იქნა რკინის გზის ლიანდაგი და ხიდები. ზალცბურგის მახლობლად აფეთქეს ელექტროშესილის ორი ანძა, რომლებიც მთელ რაიონს აწვდიდა დენს. ქალაქი მთელ ორ საათის უელექტრონოდ იყო. ბიურო ამტკიცებს, რომ ეს აფეთქებანი წარმოადგენენ „რადიკალ სოციალ-დემოკრატიული წრეების გაშლილ საბოტაჟს“, თუმცა იმავე დროს იტყობინება, რომ ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი ამ თავდასხმათა ორგანიზატორების რაიმე კვალი. თავდასხმებთან დაკავშირებით, მთელ რიგ ქალაქებში რკინისგზები დაკავებულია ჯარების მიერ (ადს).

სა რთაშორისო მიმოხილვა

საბჭოთა კავშირი

„კრასინი“ შევიდა პროვიდ ნიეს უბეში

გემ „კრასინიდან“ 24 წ. 19 მაისი 4 ს. 41 წუთი

მოსკოვი ამხ. კუიბიშევს.
ასლი ამხ. იოფეს.

„სატალინგრადის“ გაუყვანა წყალზე გაყვანის შემდეგ შეიჩერდით ზღვაში, რომ შეგვესრულებინა საჭირო მეცნიერული მუშაობა ზამთრის რეჟიმის დროს ზღვის სიღრმის ტემპერატურის გამოსაკვლევად. 16 საათს და 30 წუთზე ს/ქვეი ნისლის პირობებში შევედით პროვიდენიის უბეში.

სმირნოვი

გემ „რეგი ალტაცებით შეხვდენ

ყინულის მჭრელი „კრასინი“, 19 მაისი (სატ. დეპეშათა საგენტოს სპეც. კორ.). გაუთვრებელი ნისლია ნელა შევდივართ პროვიდენიის უბეში. შორიდან მოისმის „სტალინგრადის“ საყვირის ხმა. 17 საათზე გამოჩნდება გემის კონტურები.

ჭიქრდებით შორიახლოს ყინულის ღუზაზე. ყინულზე მოდის სამეულის თავმჯდომარე ამხ. **პეტროვი.** „ძძლოლინსკიდან“ გამოგზავნეს ძაღლის მარხილები, რომლებითაც გემამდე მიმდივართ ატაკაებული შეხვედრა. გამოდიან **ბობროვი, ვორონინი,** მფრინავები **დორონინი, ბაბუშკინ, გალუშევი.** ხვედნა-კოცნა. **ჩვენ გვაოცებს ჩელუსკინელთა საუცხოვო ჯანმაღა გამომეტყველება.**

ხვალ საერთო საღამოა (ადს).

„სმოლენსკი“ უკან ვერ არა ვერ ვერ 20 მაისისა

ბაბაროვსკი, 17 მაისი. გემ „სმოლენსკიდან“ იუწყებიან: ვფიქრობთ, რომ დღეს საღამოთი შევხვდებით „კრასინს“. „სმოლენსკის“ დამკვირვ მეზღვაურთა კოლექტივი ღებულობს მრავალ მისალმებას და მილოცვას რეისის გამარჯვებით დამთავრების გამო. კოლექტივი მზადაა უკან წამოვიდეს არა უგვიანეს 20 მაისისა და მშვიდობიანად მოიყვანოს ყველა ჩელუსკინელი და მფრინავი. (ადს).

გემი „კომილესი“ წავიდა კეტრო-პავლოვსკისაკენ

ბაბაროვსკი, 17 მაისი. გემი „კომილესი“ 16 მაისს გავიდა ვლადივოსტოკიდან და გაემართა კამჩატკის პეტროპავლოვსკისაკენ. გემს მოაქვს 5 ათასი ტონა ქვანახშირი და 300 ტონა სურსათ-სანოვაგე „კრასნისათვის“. (

პარტიულ თემაზე

სტრუქტურის შეცვლით დაკმაყოფილდენ

(ზუგდიდი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

„პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა გარდაქმნილია მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ახლა მეტი შესაძლებლობა გვაქვს, რომ ოპერატიულ-კონკრეტული ხელმძღვანელობა გავუწიოთ ძირიტულ რგოლებს"—ლაპარაკობს ჯგლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ხარბედია,—მაგრამ სამწუხაროა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ ახალ ფორმაში არ ჩადო მუშაობის ახალი შინაარსი. გარდაქმნა ფორმალურად ჩატარდა, მას წინ არ უძღოდა მე-17 პარტყრილობის მასალების მე-17 პარტყრილობის პროკვანდა, დამუშავება და ახლაც, გარდაქმნის შემდეგ, თავის სიმაღლეზე არა დგას რნეობაში (კაშენბროდის სამინჭა-

მართალია, მეურნეობაში არსებობს პარტორგანთლების სკოლა, სადაც ჩაბმულია 14 კომუნისტი და სამი უპარტიო, მაგრამ სკოლის მუშაობა სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. ადგილი აქვს პროპაგანდისტების ცვალებადობას, რამაც გააუარესა მეცადინეობის ხარისხი.

ეი მაგალითიც: ამხ. სტალინის მოხსენება პოლიტსკოლაში ორჯერ დაამუშავეს (თავიდან ბოლომდე), მაგ ამ, მიუხედავად ამისა, ვერ ნახავთ ამ მეურნეობაში პარტიის ვერც ერთ წევრს, რომელიც ერკვეოდეს ამხ. სტალინის მოხსენების ძირითად საკითხებში. პოლიტიკურად ჩამორჩენილი კომუნისტები მუშაობენ ძირითად რგოლების ხელმძღვანელებად. ამხ. არახანია, სამსონ ქარჩაკა და კიკავა ჩაის პლანტაციების ბრიგადებში პარტგუფების ხელმძღვანელები არიან და მათ არ იციან, თუ როდის შედგა მე-17 პარტყრილობა, არ იცნობენ პარტიის წესდებას. აბა, ასეთი კომუნისტები რა ხელმძღვანელობას გაუწევენ თავის ბრიგადის წევრებს!..

მეურნეობის მუშაკები ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ სოციშეჯიბრების დანერგვის საქმეშიაც. მაგალითად **ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გამოწვევაზე გამოხმაურება პარტიულმა კომიტეტმა თავის საქმედ არ მიიჩნია, იგი მიანდო მეურნეობის პროფორგანიზაციას. ეს უკანასკნელი კი ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწოდებას ფორმალურად გამოეხმაურა და ამით დაკმაყოფილდა.**

ამ მეურნეობაში კომუნისტების უმრავლესობა კანდიდატობაში არიან თავმოყრილი, მაგ. პარტიის 19 წევრ კანდიდატიდან მხოლოდ 5 კაცი მუშაობს ბრიგადებში. ქალთა ბრიგადებში კი არც ერთი კომუნისტი არ არის. კომუნისტი ქალი **მარო ჭაბუკიანი** მოღარედ მუშაობს, მ. დარჩენა პარტის გამყიდველია. ქალთა ბრიგადებში მუშაობა მათ შეურაცყოფად მიაჩნიათ. ასევე ითქმის დანარჩენ კომუნისტებზეც, რომლებიც აშკარად გაურბიან ძირიტულ ბრიგადებში მუშაობას, მათ მიმართ პარტიული კომიტეტის მდივანი დაუშვებელ ლიმბიერობას იჩენს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ პარტკომის მდივანს დაესვას საკითხი კომუნისტების ბრიგადებში გადაყვანის შესახებ.

მეურნეობის პარტიული ორგანიზაციაში მოდუნებულია კლასობრივი სიფხიზლე, რასაც უნდა მიეწეროს ის, რომ მეურნეობაში გაბზარდა მავნებლური მუშაობის შემთხვევები. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ბრიგადირებმა **ჭირიამ, შელიამ და ნარმანიამ**—8 ფუთი ჩაის თესლი კა დაყარეს ჭაში. უფრო მეტი: ავრონომ შელეგიას მინდობილი ჰქონდა ჩაის პლანტაციების დასაცავად გაეშენებია ცოცხალი ღობე, ამ მიზნით ასპრილში ქობულეთიდან მოიტანეს რამოდენიმე ათასი ძირი ხე, მაგრამ დარგულ ხეებიდან 3.000 ძირი მუხა და 2 კვიპაროსის გახმა. ამით მეურნეობამ რამოდენიმე ათასი მანეთი იზარალა. ამ უყაირათო მუშაობის გამო აგრონომ შელეგიასთვის დღემდე პასუხი არავის მოუთხოვია.

შეიძლება კიდევ მრავალი მსგავსი ფაქტების მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის, დასადასტურებლად, რომ მეურნეობაში **სათანადო სიმაღლეზე არ სდგას პარტიული დისციპლინა, რომ პარტიული ორგანიზაცია ჯერ ვიდევ ვერ დაუახლოვდა მასებს, ვერ გარდაქმნა მუშაობა. სუსტია რძოლა კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის.** თითქმის სრულიად მივიწყებულია მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ ზრუნვა, რის შედეგად ადგილი აქვს მუშახელის დენადობას (მეურნეობიდან ორი თვის განმავლობაში 60 კაცი წავიდა).

ყოველივე ეს უპირველეს ყოვლისა ვიწსნება მეურნეობის **პარტიული კომიტეტის სუსტი მუშაობით** და შემდეგ კი რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის **შენგელიას „გასტროლიორული"** ხელმძღვანელობით. ამხ. შენგელია მეურნეობაში პირველად 29 აპრილს მივიდა, პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა შეცვალა, და ამით გათავა ყველაფერი. ამხ. შენგელია მეურნეობას 29 აპრილის შემდეგ არ გაკარებია. ჩანს, რომ მან მოვალეობა დამთავრებულად ჩასთვალა.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რატომ არ იღებს ზომიბს ზუგდიდის რაიონის პარტიული კომიტეტი მეურნეობის პარტიული მუშაობის გამოსაკლებლად.

ალ. გვინჭიძე.

კოლმეურნეები დაკვეთას იძლევიან

(ოზურგეთის „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. მერიის კოპერატივი მოწინავე კოოპერატივად ითვლება ოზურგეთის რაიონში, მან მნიშვნელოვანი მილწევები მოიპოვა სოფლის მშრომელი მოსახლეობის მომსახურების დარგში. მომხმარებელთა უკუდ მომსახურების მიზნით გახსნილია 7 სავაჭრო განყოფილება და 1 სასადილო.

5 ათასამდე მომხმარებელში კოოპერატივის წევრია 2.800, ანუ სრულწლოვან მომხმარებელთა 99,8 პროცენტი. 1934 წლის პირველ კვარტალში ახალ წევრთა მიზიდვის გეგმა კოოპერატივმა 200 პროცენტით შეასრულა.

თვალსაჩინო მილწევა აქვს კოოპერატივს საპაიო თანხის მიზიდვის მხრივაც. მაგალითად, გასული წლის მეოთხე კვარტალში საკონტროლო გეგმის მიხედვით უნდა შეგროვებულიყო 1.309 მანეთი. შეგროვილია 1.518 მანეთი. მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში შეგროვდა ჰაი 1289 მანეთის რაოდენობით (გეგმა შესრულებულია 122 პროც.).

კოოპერატივის მთელი მუშაობა მიმართულია საქონლის ბრუნვის გადიდებისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისაკენ. ამ მიზნით მთავარი ყურადღება ექცევა თვითდამზადების ფართოდ გაშლას. 1933 წლის მეოთხე კვარტალში საქონლის ბრუნვა 75.000 მანეთის ნაცვლად უდრიდა 150.000 მანეთის (გეგმა შესრულებულია 200 პროც.). მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული იყო 105.000 მანეთის საქონლის რეალიზაცია. ნამდვილად კი, კომერციული საქონლის ჩაუთველელად, გასასღებელია—144.000 მანეთის საქონელი (გეგმა შესრულებულია 137,2 პროცენტით). აქედან გასაღებული საქონელი (ლურსმანი, ჩრდილოეთბა, მანუფაქტურა, თევზი და სხვ.) შეძენილია და დამზადებული თვით კოოპერაციის ინიციატივით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებულ 3920 მაღეთი ანაბარის ნაცვლად მოზიდულია 5370 მან., (გეგმა შესრულებულია 139,8 პროცენტით). გარდა ამისა, დამზადების გეგმა (ხორცი, ყველი, დაფნა, ტყავი, ბეწვეული და სხვ.) 100—175 პროცენტით არის შესრულებული.

მთავარი, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს—ეს არის კოოპერატივის მუშაკების ენერგიული და კეთილსინდისიერი მუშაობა; არ ყოფილა სამუშაოსადმი გულგრილი დამოკიდებულების და შრომის დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. საქსებით აღმოფხვრილია საქონლის დაკარგვის შემთხვევაც. ეს ცხადყო კოოპერატივისა და მისი განყოფილებების ამ ბოლო დროს ჩატარებულმა საფუძვლიანმა შემოწმებამ, არც ერთ მოშალს დანაკლისი არ აღმოჩენია. კოოპერატივში ყველა საქონელს მიჩენილი აქვს გარკვეული ადგილი და დაცულია სისუფთავე.

ამჟამად მერიის კოოპერატივი მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. არკვევენ, თუ ამ წელში რა და რა საქონელი ენიძა შეიძინოს მოსახლეობამ. ამისთვის შემოიღეს დაკვეთის წესი

სანიმუშოდ მოვაწყოთ მოკრეფილი ჩაის ფოთლის შენახვა და გადაზიდვა

ოზხამურმა შეასრულა ჩაის პრეფის მაისის გეგმა

ქობულეთი, (სპეც. კორ.). ოჩხამურის ჩაის საბჭ. მეურნეობამ 19 მაისისათვის მთლიანად შეასრულა მწვანე ფოთლის კრეფის მაისის თვის გეგმა. მოკრეფილია 47.100 კილოგრამი. პირველი ხარისხის ფოთოლი შეადგენს 99 პროცენტს. მექანიზებული წესით მოკრეფილია 5.600 კილოგრამი

ოჩხამურის მეურნეობა ემზადება ლაითურის საბჭოთა მეურნეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად პლანტაციების დამუშავების გეგმების შესრულებაში.

ვ. ჩაჩიბაია.

საჭ. ჩოლა პროკურორის ჩარევა

სამტრედია, 19 მაისი (საქ. კორ.). 14 მაისისათვის სამტრედიის რაიონში მოკრეფილი ჩაის ფაბრიკაში 1200 კილოგრამის ჩაის მწვანე ფოთოლი, პლანტაციის პირველი გათიხვის გეგმა შესრულებულია მთლიანად. (529 ჰექტ.).

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ძალიან სუსტი ყურადღება ექცევა პლანტაციების პირუტყვისაგან დაცვას. მაგ. სოფ. მემჩარ ნიბოკრაზღვის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში ხშირად ნახავთ ლ მსხილაძის, ი. ბაგბუას და ი. ზამბახიძის ძროხებს და თხებს. პირუტყვის ამ მეპატრონეებს პასუხს არავინ სთხოვს.

ხსენებულ კოლმეურნეობის პლანტაციაზე მომავარებული მ. ტონია (კოლმეურნეობის წევრია) რომელიც უშუალო პასუხისმგებელია პლანტაციების დაცვისათვის. მ. ტონია მხოლოდ ითდღეში ერთხელ ეხტუმრება ხოლმე პლანტაციას, გადახედავს ჩაის და ჩქარა უკან დაბრუნდება.

ცხადია, ასეთი „მეთვალყურის“ ხელში პირუტყვს თავისუფლება ეძლევა —გაანადგუროს პლანტაცია.

კოლმეურნეობის გამგეობა ამ მდგომარეობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

საგვირაო საქმეში სამტრედიის რაიონის პროკურორის ჩარევა.

პ. ზარძუა.

უგზოობა აფერხებს ფოთლის გადაზიდვას

სენაკი, (საქ. კორ). ჩაის მწვანე ფოთლის გადაზიდვა სენაკის რაიონის კოლმეურნეობებიდან უშუალოდ ფაბრიკაში მოუგვარებელია. ფაბრიკასთან მისასვლელი გზები არ არის შეკეთებული. წვიმიან ამინდში ლაში დგება და ავტომანქანები ვერარ მოძრაობენ. მწვანე ფოთოლს ფაბრიკაში ეზიდებიან ურმებით. შემჩნეულია, რომ ფოთოლს არ აფარებენ ზოგიერთს, წვიმის დროს ფოთოლი სველდება, რაც ეწყმა მისი ხარისხი. 8 მაისს სოფ. ზანიდან ფაბრიკაში ურმით მიტანილი რამდენიმე კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი წვიმაში მოყვა, რამაც გამოიწვია მისი მთლიანად დაზიანება.

ასეთი შემთხვევები ბევრია. (უკუდად მუშაობს მიმღები პუნქტი, რომელსაც დღემდე სპეციალური ხელობაც არ მოეპოება.

ჩაის მიმღები პუნქტები უხეიროდ მუშაობენ

(ზუგდიდი, საქ. კორესპონდენტისაგან)

— ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტების მოწყობა 25 აპრილისათვის დამთავრდა.

— ჩვენ თავის დროზე მოვიმარაგეთ სასწორები, გამოვნახეთ ადგილი, სადაც პუნქტისათვის საჭირო ბინები, შევარჩიეთ გამგეები. მუშაობას აქაიქ ახასიათებდენ. მცირეოდენი დეფექტები, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტები კარგად მუშაობენ.

ეს სიტყვები ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ხასაიას ეკუთვნის. დირექტორის სიტყვებს ადასტურებენ მისი მოადგილე ამხ. დეიაძე და ტექნოლოგი ამხ. ჩაგუნავა. მაგრამ საკმარისია ადგილებზე გაეცნოთ რამდენიმე პუნქტის მუშაობას, რომ დირექტორის მიერ მოცემული საუკეთესო დახასიათება შეიცვალოს სხვა გვარად.

ოთხი რამ ეგალება მიმღები პუნქტის ხელმძღვანელს: პირველი: ჩაის მწვანე ფოთოლი დაკვირვებით შეაწონოს და დაახარისხოს. მეორე: ჩაის მწვანე ფოთოლი შეინახოს ცალკე-ცალკე ხარისხების მიხედვით. მესამე: არ დაუშვას პუნქტზე ფოთლის ვაფუშება, ამისათვის კი საჭიროა სისუფთავის დაცვა, ჭინტლიაცია, ბორკეფილი ფოთოლი სწრაფად არ უნდა იქნეს დაყრილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეხორდება და ვაფუჭდება, მეოთხე: მიმღები პასუხისმგებელია ჩაის მწვანე ფოთლის სწორად აწონვაზე.

ამის გარდა პუნქტის ხელმძღვანელს უნდა აუხსნას ჩამბარებელს რა დეფექტები შეიმჩნია მან კრეფის, შენახვის და ფოთლის პუნქტამდე მატანის დროს და მისცეს სათანადო მითითებები.

იმის დასადასტურებლად, რომ ამ წესებს მთელი რიგი პუნქტის ხელმძღვანელები არ იცავენ — მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს: 16 მაისს სოფ. ბეჟასლარის მიმღები პუნქტიდან ფაბრიკაში მოიტანეს ჩაის მწვანე ფოთოლი, რომელსაც ნაცრის სუნი ეფიოდა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, დაახლოებით ერთი კვირის წინათ იმავე პუნქტიდან (პუნქტის გამგე შენგელაია) მიღებულია ნაეთიანი ფოთოლი, ცხადია ფაბრიკამ ის უვარგისად სცნო და არ ჩაიბარა.

ისმება საკითხი — ვინ არის დამნაშავე ფოთლის გაფუჭებაში? ფაბრიკის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ მათი ტრანსპორტი სრულ წესრიგშია და ამიტომ მანქანაზე გადმოტანის დროს არ შეიძლებოდა ფოთოლი დანაეთიანებულიყო. მაშასადამე — დაასკვნიან ისინი — დამნაშავეა ბეჟაზლალის პუნქტი.

თავის მხრივ პუნქტი ამტკიცებს, რომ ის არაფერ შუაშია

— მე პირველი ხარისხის ჩაი გამოგიზავნეთ და თუ სადმე გააფუჭეთ, ამაზე პასუხისმგებელი არ ვიქნებიო აცხადებს პუნქტის გამგე. ბოლოს და ბოლოს ჩაის ფაბრიკის დირექციამ და მისდამი დაქვემდებარებულ პუნქტის ხელმძღვანელმა გაჩუმება არჩიეს და საკითხი ამით „ამოწურულად“ ჩასთვალეს.

6 მაისს ბეჟასლალის პუნქტიდან მიღებულ ჩაის ფოთოლს, გამოზომვისათვის სათანადო დარიცხვის შემდეგ, წონაში დააკლდა 41 კილოგრამი. ამ ფაქტს უნდა დაეფიქრებინა ფაბრიკის დირექცია, არაფერი ამის მსგავსი. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ აქ დანაკლისი იშვიათი შემთხვევა არ არის.

6 მაისს ნარაზენის პუნქტიდან მიღებულია ჩაის მწვანე ფოთოლი 33 კილოგრამი დანაკლისით, 13 მაისს კი 15 კილოგრამი დააკლდა. ნოემბრის პუნქტმა პირველ მაისს გამოგზავნა ფოთოლი, ასწონეს ჩაის ფაბრიკაში — დააკლდა 15 კილო. იმავე პუნქტს 5 მაისს დააკლდა 5 კილოგრამი, პუნქტის გამგე ჰანტუტრიამ მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი მიიღო პირველ ხარისხად. ჭკადუაშის პუნქტიდან (გამგე სახურია) 2 მაისს გამოგზავნილ ჩაის მწვანე ფოთლის წონაში დააკლდა 31 კილოგრამი.

საბჭოთა მეურნეობებიც დანაშაულობრივ უყურადღებობას იჩენენ. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნათ მაგალითად ის ფაქტი, რომ ჯგოლეგნიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ფაბრიკას გამოუგზავნა ჩაის მწვანე ფოთოლი (47 კილოგრამის რაოდენობით) რომელიც აკრეთვე ნავთიანი აღმოჩნდა. ნარაზენის მეურნეობიდან მიღებულია გადამწვარი ჩაის ფოთოლი (გაფუჭებული ქუდათ შენახვის გამო). ცუდათ შენახვის გამო უვარგისი აღმოჩნდა ოირემეს კოლმეურნეობიდან მიღებული ფოთოლი 73 კილოგრამის რაოდენობით.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან. მხოლოდ ერთი — მთელი რიგი მიმღები პუნქტების მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი, პუნქტის სწორ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ფაბრიკის პროდუქციის მაღალი ხარისხი. ამიტომ ფაბრიკის დირექციამ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები მათი მუშაობის ნამდვილად გარდაქმნისათვის.

კ. შერიზაია.

გურიანთელების პასუხი მამამთელებს

(ოზურგეთი, სოფ. გურიანთის კოლმეურნეების წერილი).

ჩვენ გურიანთის კოლმეურნეებმა სახელდახელოდ მოწვეულ კრებაზე დაწვრილებით განვიხილეთ რა ლანჩხუთის რაიონის, სოფ. მამათის კოლმეურნეების მიმართვა, თაღი ვაცხადებთ დამკვრელად, ვებმებით მათთან შეჯიბრებაში და ვკისრულობთ ყველა იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც წამოაყენეს მამათის კოლმეურნეებმა.

ჩვენის მხრით დამატებით ვკისრულობთ შემდეგს:

ჩაის პლანტაციების ვათიხნას დავამთავრებთ საქ. ცეკას მიერ დაწესებულ ვადებზე 7 დღით ადრე. მოვკრეფთ (საუკეთესო ხარისხით) 172.000 კილოგრამ ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 162.000 კილოგრამისა. დავიცავთ კრეფის ვადებს, არ დაუშვებთ ფოთლის დაკარგვასა და გაფუჭებას. ჩაის მოსავლიანობის გადიდებისა და სარეველა ბალახების მოსპობის მიზნით 15 ჰექტარზე დამატებით შევიტანთ ნაკელს. საუკეთესო მკრეფველების გამოცდილებას გავაცნობთ ყველა მკრეფველს.

სოფ. გურიანთის დამკვრელი ბრიგადირები და კოლმეურნეები:

ც. კვაჭაძე. პ. მუჯირი, ნინა ტუღუში, ელიჩავა არუშიძე, გრ. ძათამაძე, ვატრონე ზაქარაიძე, სიმონ კვაჭაძე და ლ. ჩხაიძე

გაფუჭებულ 450 კილოგრამი ჩაის ფოთოლი

ოზეთჩირე (საქ. კორ.). ოჩხეჩირის რაიონში მოკრეფილია 6.223 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი (მაისის გეგმის 52 პროც. ზოგან მიმღები პუნქტი ვერ მუშაობს წესისრულად. მაგალითად, სოფ. აგუ-ბედას მიმღებ პუნქტში დღეისს გაიწერეს 450 კილ. ფოთოლი, რამაც გამოიწვია მისი გაფუჭება. ამ უპასუხისმგებლობაში შემჩნეული დამნაშავეები გამოუცხადებელი და დისციპლინარული პასუხისგებაში უნდა მიეცენ.

ჩაის ფოთლის კრეფა ნატანების კოლმეურნეობის უბანზე

კონკურსი საუკეთესო მწყემსზე

როგორ ასრულებს ნორიოს საბჭოთა მეურნეობა ნაკისრ ვალდებულებებს

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

ნორიოს (ტფილისის გარეუბნის რაიონი) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა პირველი გამოეხმაურა საქ. მიწსახკომის და გაზ. „კომუნისტის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსს საუკეთესო მწყემსზე. ამას შემდეგ სამი თვე გავიდა. ჩვენ შეგამოწმეთ ამ მეურნეობის მუშაობა თუ როგორ ასრულებს იგი ნაკისრ ვალდებულებებს.

ეცნობით მეურნეობას და რწმუნდებით, რომ ნაკისრ ვალდებულებისათვის ბრძოლა აქ გადაქცეულია თვითეული მუშაკის ღირსების საქმედ. ჩამოყალიბებულია საკონკურსო შტაბი მეურნეობის დირექტორის ამხ. ვარ. კილაძის თაოსნობით. შტაბი სისტემატიურად ისმენს ფერმების გამგის, ბრიგადირების და ზოოტექნიკოსების მოკლე ინფორმაციას კონკურსის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სახაის პრაქტიკულ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პირუტყვის სადგომი ბინების დათვალიერებისთანავე თვალში გეცემათ იშვიათი სისუფთავე. ჩვენ ორი დღე დავყავით მეურნეობაში და არ შეგვიმჩნევია ანტისანიტარული მდგომარეობა. ეს იმით აიხსნება, რომ დავა — დასუფთავება აქ ხდება არა განრიგებისა და საათის მიხედვით, არამედ მთელი დღე - ღამის განმავლობაში.

საქ. მიწსახკომის და „კომუნისტის“ კონკურსის პირველი ობიექტი ითვალისწინებს დაკრილების კამპანიის ასი პროცენტით ჩატარებას. ნორიოს მუშათა პირობა ამ მხრივ მტკიცე გამოდგა. დაკრილების კამპანიისათვის მზადება წარმატებით ჩაატარეს. მწარმოებელი — ბუღები მოთავსებულია განცალკევებულ შენობაში; ბუღები სისტემატიურად გაყავთ სუფთა ჰაერზე და დადაყენებულია გაძლიერებულ კვებაზე. თუ როგორ გუთხოდიანედ ყოლიან ბუღებს ეს ჩანს შემდეგიდან:

როცა ბუღების დასათვალიერებლად მიეიდოდი, კარებთან შემხვდა ახალგაზრდა. მაღალი ტანის კაცი.

— აბა, შესდექი ამხანაგო, მითხრა მან.

— რაშია საქმე. — შევეკითხე მე.

— გთხოვთ თქვი გაიწმინდოთ (შემთხვევა საშინაზე) და ისე შემოხვიდით — დასძინა მან.

ეს ამხანაგი აღმოჩნდა ბუღების მომვლელი ალექ. შევჩენკო, რომელ მაც საობარში განაცხადა, რომ ფეხგაუწმენდავათ ბუღებთან არავის უშვებენ, რადგან თავიდან იქნას აცილებული ინფექციური ავადმყოფობის გავრცელებაო. ბუღების მოვლა და კვება სანიმუშოდ აქვთ დაყენებული.

მაგრამ ის რაც აქ გაკვეთდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ მეკოველეობის დარგში მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჯერ — კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ მეურნეობა საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდეს კონკურსში. ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მეურნეობის მუშაკებმა არსებულ მიღწევების შენარჩუნებით, კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა კონკურსის ყველა პირობათა მთლიანად შესრულებისათვის, არ მიეცენ თვითკმაყოფილებას არ დაუშვან ხბოების სიკვდილი და ვადაზე შეასრულონ სახელმწიფოსათვის რძის და ერბო - კარაქის ჩაბარების გეგმები.

თ. კუნჭულია.

ყვალდიდოგის ფინააღმდეგ არ იბრძვიან

(ბარეუბნის რაიონი, საგურა მოს თემი.)

საგურამოს თემში შემავალი ხუთი დება, სოფლის: გალავნის, ჯიდაურის, ახაშენდას, ახალი სოფლის და საგურამოს მშრომელ გლეხობას წყალდიდობა ყოველწლიურად უდიდეს ზიანს აყენებს. საგურამოს თემის შუა ადგილს ჩამოუდის მდინარე მშრალხევი, რომელიც არაგვს უერთდება. გაზაფხულობით, წვიმიანი ამინდის დროს, მდინარე მშრალხევი, დიდ ხეებს, ლახვს თავის ალაპოტს, და ანადგურებს ყანებს.

ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ზომებს არ იღებენ მდინარე მშრალხევის ნაპირების გასამაგრებლად, რაც დანაშაულს უდრის.

საჭიროა რაიალმასკომმა და თემსაბჭომ ენერგიული ზომები მიიღონ ამ საქმის მოსაგვარებლად.

თემელი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში მიღებული იყო წერილი სოფ. ზემო ხოტრის (ლენინის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯერვალიძის და მოსანგარიშე ტოხოშვილის შესახებ. წერილის ავტორი გვატყობინებდა, რომ სოფ. ზემო ხორხის კოლმეურნეობაში შემჩვარალია კლასობრივი მტრის აგენტი მოსანგარიშე გ. ტოხოშვილი. გ. ტოხოშვილი აშკარა აგიტაციას ეწევა კოლმეურნეობის წინააღმდეგ. ის ფორმალურად ადგენს შრომადღეების ტაბელებს, რითაც თვალს უხვევს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯერვალიძე, არავითარ ყურადღებას არ აქცევს კოლმეურნეობის ქონების მოვლა-პატრონობის საქმეს. კოლმეურნეობის გუთნები მინდორში ყრია, ტრიერების ნაწილები გაფანტულია და იფანგება, სკები და ცისქვეშაა და ლპება, წითელი ბელლისათვის შეძენილი ფიცრები—1200 მანეთად ღირებული წყალმა წაიღო. გარდა ამისა, კოლმეურნეობის „თაიგული“ ჯერვალიძე და ტოხოშვილი ფლანგავენ კოლმეურნეობის თანხებს და იმით აიხსნება, რომ აღმოფხვრეს ფუნქციონალობა და პირუტყვის განსაზღვრულ რაოდენობაზე მიამაგრეს ცალკე ბრიგადები. საკითხი მომჭვლელზე დაწესებულია ჯილდო. სოციშეჯიბრება და დამკვრელობა ფართოდაა გაჩაღებული. შემოღებულია მუშაობის ინდივიდუალური სანარდო სისტემა და შრომის ანაზღაურება წარმოებს შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. თვითეულმა მომვლელმა იცის რა წვლილადობას მიიღწიოს, რას მიიღებს იგი ამათუიმ სამუშაოს შესრულებაში. ყოველივე ამის შემდეგ ბრიგადებში განმტკიცდა რკინისებური შრომის დისციპლინა და აიწია შრომის ნაყოფიერება.

მაგრამ ეს ფაქტები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჯერვალიძის და ტოხოშვილის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ საკითხის გამო ჩვენ მივმართეთ ლანჩხუთის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ზ. ბერიძეს, რომელმაც ჩვენ მოგვწერა, რომ აღნიშნული წერილი „კომუნისტის“ რედაქციამ გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კ. ბ. (ბ) დუშეთის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა, რის გამო რაიკომის მიერ მიღებულია შემდეგი ზომები: 1. კოლმეურნეობაში დეზორგანიზაციის შეტანისა, ხელისუფლების ორგანოებისათვის თვალისახვევისა, საკოლმეურნეო ქონების განავებისა და 400 მანეთის გაფლანგვისათვის ოხახებ და გეორგი ტოხოშვილები გარიცხული არიან კოლმეურნეობიდან და მიცემული პასუხისგებაში, 2. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯერვალიძე, როგორც სუსტი და კულაკური გავლენის ქვეშ მოქცეული, მოხსნილ იქნა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან და გამოეცხადა საყვედური.

8. ყინვალის საბოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გოგოლაშვილს და რაიმიწგანის ინსტრუქტორს ამხ. მავრაშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური კოლმეურნეობის მიმართ სუსტი ხელმძღვანელობისა და აღნიშნული ფაქტების გამოუმეღავნებლობისათვის.

სოციშეჯიბრება ციფრებისა საბჭოთა მეურნეობებს შორის

საქართველოს ლიმონ-მანდარინის ტრესტი და „კომუნისტის“ რედაქცია აქვეყნებენ სოციშეჯიბრების პირობებს და აწესებენ პრემიებს გამარჯვებულთათვის იმ სოციშეჯიბრებაში, რომლის ინიციატივა (ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელთა გამოწვევის საპასუხოდ) აიღო კვირიკეს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობამ და მიმართა მოწოდებით სოციშეჯიბრების გაწლისათვის ციტრუსების დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებს (იხ. მაისის 6-ის „კომუნისტი“).

სოციშეჯიბრების პირობები

1. კლანტაციების სანიმუშოდ მოვლა. ამ მიზნით: მინერალური სასუქის შეტანის დამთავრება არა უგვიანეს 15 ივნისისა; 1-ლ სექტემბრამდე პლანტაციების გათიხნის ოთხჯერ და სადაც ამას საჭიროება მოითხოვს (სარეველა ბალახებით ზედმეტად დანაგვიანება) ხუთჯერ ჩატარება. პლანტაციების რიგთა შორის გათიხვა - გასუფთავება ბალახის, ეკლნარის და ჯაგეებისაგან. პლანტაციების შეწამლვის დამთავრება 25 აგვისტოს. (სულ უნდა შეიწამლოს სამჯერ, ახალ გაზრდა პლანტაციები კი ოთხჯერ).

2. ჭარსაცავების, ცოცხალი ღობის და სუბტროპიკული ხეხილის დარგვის დამთავრება დაწესებულ ვადებში.

ზამთარში პლანტაციების ყინვისაგან დაცვის მიზნით, შესახვევი მასალისა და სარების (ჭიგოები) დროზე დამზადება. გონიოს და პიცუნდის საბჭოთა მეურნეობებში ამერიკული სისტემის ხელსაწვრი მთბუნარების რაციონალურად გამოყენება, საამისოდ ჭურჭლებისა და საწვავის დროზე მომარაგება, შეხვევის დამთავრება ლიმონ - ტრესტის მიერ დაწესებულ ვადებში.

3. სანერგეების მოვლისა და დაცვის მიზნით სანერგეებში გამოხელვის რვაჯერ ჩატარება გათხნა-გაფხვიერებით. სანერგეების 2—3-ჯერ წყალში გახსნილი ნაკელით მორწყვა. შეწამლვის ორჯერ ჩატარება, ნათესი ტრიფოლიატის გადარგვა სანერგეებში პირველ ივლისამდე. კვირატის მუნობის ისე ჩატარება, რომ გაიხარაროს მთელი დამწვნილი ნერგის 80 პროცენტმა. გაზაფხულზე ნათესის გადარგვა დაწესებულ ვადებში 1-ლი ოქტომბრისათვის ნერგის შესანახად თბილი ფარდულების მშენებლობისა და მოწყობის დამთავრება.

4. 1934 წლის მოსავლის დროზე აღება და მისი სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

5. შრომის ორგანიზაციის დარგში: მუდმივი ბრიგადების მიმაგრება გარკვეულ ნაკვეთზე, ინდივიდუალური სანარდო სისტემის დანერგვა, ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმების შედგენა, აღრიცხვისა და ანგარიშ-წარმოების მოწესრიგება, გაუპიროვნების მოსპობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაწესება.

6. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში: მუშათა სანიმუშო მშენებლობის დავალებათა მთლიანად შესრულება, საექიმო დახმარების გაუმჯობესება, კულტურულ სამსახურის ბაგის მოწყობა, სასადილოების გაუმჯობესება, აბანოსა და სამრეცხაოს მოწყობა, მუშების სამრეწველო საქონლით და სურსათით შეუფერხებელი მომარაგება.

7. საქმის ისე დაყენება, რომ 1934 წლის განმავლობაში ციტრუსების თითო საბჭოთა მეურნეობამ მუდმივ სამუშაოზე დაამაგროს არა ნაკლებ 30 მუშისა.

პრემიები

ზემოხსენებულ დავალებების ვადაზე და მაღალ ხარისხოვნად შემსრულებელთა დასაჯილდოებლად გამოყოფილია სააპრემიო ფონდი—16 ათას მანეთი ფულად და ერთი მსუბუქი ავტომანქანა.

მთელი სამეურნეო წლის დავალებათა შესრულება შეჯამებული იქნება ორ პერიოდში: ერთი — პირველ სექტემბრისათვის (გაზაფხულის სამუშაოთა შესრულების მაჩვენებელთა გათვალისწინებით) და მეორე 1 დეკემბრისათვის.

პირველი პერიოდის (1934 წლ. 1 სექტემბრამდე) საწარმოო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაწესებულია ორი პრემია.

პირველი პრემია

3 ათასი მან. ფულად და ერთი მსუბუქი ავტო-მანქანა.

მეორე პრემია

4 ათასი მანეთი ფულად.

მეორე პერიოდის (1934 წლ. 1 სექტემბრიდან დეკემბრამდე შესრულებულ სამუშაოებისათვის) დაწესებულია ორი პრემია:

პირველი პრემია

5 ათასი მანეთი ფულად.

მეორე პრემია

4 ათასი მანეთი ფულად.

საწარმოო დავალებათა შესრულებას და სოციშეჯიბრების შედეგებს შეაჯამებს საქართველოს ლიმონ-მანდარინის ტრესტი და „კომუნისტის“ რედაქცია.

ფულადი პრემიები მიეცემათ სოციშეჯიბრებაში გამარჯვებულ საბჭოთა მეურნეობებს, მოწინავე დამკვრელ მუშებს, მუშა - ქალებს, სპეციალისტების და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ხელმძღვანელთა დაჯილდოებლად.

სოციშეჯიბრების შედეგები და პრემიების განაწილება გამოქვეყნდება პრესაში.

საქართველოს ლიმონ-მანდარინის ტრესტი—

ე/რ. ღვამიჩავა.

„კომუნისტის“ რედაქცია—ნ. კიკნაძე.

თევზის ჭერის მექანიზაცია

(ბათუმი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მეთევზეობას თავისი „გეოლოგია“ აქვს, ისე როგორც ნავთის კოშკის დადგმას წინ უნდა უძღოდეს გეოლოგიური აგლეგა-ძიება, თევზის ჭერაც დამყარებული უნდა იყოს ნელნელობით დაკვირვებებზე.

მეთევზეობის დარგში მეცნიერული მუშაობის წარმოება დაევალებული აქვს ბათომის თევზის სამეცნიერო სადგურს. ამ სადგურს ძალზე ცუდ პირობებში უხდება მუშაობა: არ აქვს საკუთარი შენობა, ლაბორატორიები მოთავსებულია დარაბებში, არ ყავს გემები საცდელი ჭერის საწარმოებლად.

მიუხედავად ამისა, სადგურმა წელს დიდი მუშაობა ჩაატარა თევზის ჭერის ტექნიკის, წყალის რეჟიმის და შავი ზღვის თევზის ჯიშების შესწავლის დარგში. სადგურმა გაბული წლების დაკვირვების საფუძველზე შეადგინა თევზის საგაზაფხულო სვლის ნაწილობრივი პროგნოზი, რომლითაც სამწუხაროდ, ვერ ისარგებლა თევზის მჭერმა ვერც ერთმა ორგანიზაციამ—ვერც ბათომის თევზის სარეწაომ და ვერც მეთევზეთა კოლმეურნეობა „წითელმა მეთევზემ“.

თევზის ჭერას ბათომის რაიონში ეს ორი ორგანიზაცია აწარმოებს. ბათომის თევზის სარეწაო აერთიანებს 5 პუნქტს—ბათომისას, ქობულეთისას, ფიჩვნარისას, შეკვეთილისას და გონიოსი (აქ მარტო ზამთარშია ჭერა). ამ პუნქტებში თევზის ჭერასთან ერთად ხდება მისი გადამუშავებაც (დამარილება, გაბოლება, დოშის დამზადება). ჭერაზე მუშაობს 10 ბრიგადა 115 კაცის შემადგენლობით, ხოლო გადამუშავებაზე 135 მუშა.

კოლმეურნეობა „წითელი მეთევზე“ საკმაოდ მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი აერთიანებს 228 გამოცდილ ლმეთევზეს 30 ბრიგადისაგან შემდგარს. კოლმეურნეობამ წელს უნდა დაიჭიროს 16.000 ცენტნერი თევზი, მაშინ, როდესაც თევზის სახელმწიფო სარეწაოს გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ 11.500 ცენტნერის დაჭერას (60 პროცენტით მეტს, ვიდრე 1933 წელს იყო). 10 მაისისათვის თევზის ჭერის ნაბევარი წლის გეგმის შესრულება ორივე ორგანიზაციაში არ აღემატებოდა 33 პროცენტს.

თევზის სამეცნიერო სადგურის განმარტებით, ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ჯიშის თევზის მთავარმა მასაზრდოებელმა ხამსამ წიოს უფრო ჩრდილოეთით ჩაიარა, ვიდრე ამას მოელოდნენ. აზოვის ზღვის ხამსა წელს სულ არ ყოფილა შენიშნული შავი ზღვის ნაპირებზე.

რაც შეეხება სხვა ჯიშის თევზებს, აქ ჭერის შემცირებაზე გავლენა იქონია იარაღების ნაკლებობამ. მაგალითად, კამბულის ჭერაზე მომუშავე ბრიგადებს 15—20 პროცენტით აკლდათ ბადეები. დროზე არ იყო მომარაგებული ძაფი ბადეების შესაკეთებლად.

თევზის ჭერის შემცირებაზე იმოქმედა იმ გარემოებამაც, რომ სახელმწიფო სარეწაომ და „წითელმა მეთევზემ“ დროზე არ გამოიყენეს თევზის სამეცნიერო სადგურის გამოცდილება ჭერის მექანიზაციის დარგში. სადგურის სამეცნიერო მუშაკის ნ. დანილევსკის წინადადებით, სადგური ჯერ კიდევ გასული წლიდან აწარმოებს თევზის მექანიზებულად ჭერას ე. წ. სანაპირო ბადეებით. ამ მეთოდის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ბადეები ზოძრაობაში მოყავს სპეციალურ ლუზების ბლოკების და ამწეც ონკანების მთელ სისტემას. აქ საშუალო ზომის ბადესთან 19 კაცის ნაცვლად საჭიროა 7.

ბათომის თევზის სარეწაო ამჟამად შეუდგა მექანიზებურად ჭერის დანერგვას თავის პუნქტებზე. დაწყებულია ზუთხის მექანიზებული ჭერა ანაკლიაში, რაზედაც მუშაობს სამი მოტორიანი ნავი.

დაშაჯანიათებელია, რომ მექანიზებული ჭერის დროს დაჭერილი თევზის 50 პროცენტი მოდის წითელ თევზზე და სხვა მსხვილ ჯიშებზე.

ბოგრამ თევზის ჭერას ლუზების და ამწეები ონკანის საშუალებით ის უხერხულობა აქვს, რომ ის დაკავშირებულია ნაპირთან. დაწყებულია მუშაობა ჭერის მექანიზაციისათვის ზღვაში. ამ მიზნისათვის იყენებენ რგვალ ბადეს. ბადის ზღვაში ჩაშვებისა და ბადის ნაპირები ერთდებიან და წარმოიშობა ერთგვარი ტომარა, რომელშიაც თავს იყრის დაჭერილი თევზი. შემდეგ ეს ტომარა კატერზე ამოაქვს ამწეც ონკანს. მაშინ, როდესაც ხელით ჭერის დროს ერთმა ნავმა 16 მეთევზით თევზნახევრის განმავლობაში დაიჭირა 400 ცენტნერი თევზი, მექანიზებული რგვალი ბადით ჭერის დროს 6 კაცმა იმავე დროის განმავლობაში დაიჭირა 800 ცენტნერი. აქედან ნათლად ჩანს მექანიზებული ჭერის უპირატესობა.

თევზის სამეცნიერო სადგური გადაწყვეტილი აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა ამ მიმართულებით. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას გაუწევს გემი „აფხაზეთი“, რომელიც პირველი მაისიდან შეუდგა მუშაობას.

ამჟამად ბათომის კულტურისა და დასვენების პარკში ნურიგელის ტბის პირად აჩქარებული ტემპით შენდება თევზის სამეცნიერო სადგურის შენობა, რომელიც მოწყობილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამჟ. მიქოიანის ბრძანების თანახმად, შენობა მზად უნდა იყოს შემოდგომაზე. ახალი ბინის აგება და თევზის ხელოვნურად მოსაშენებელი აუზის მოწყობა საშუალებას მისცემს სადგურს ფართოდ გაშალოს სამეცნიერო - საკვლევაძიებო მუშაობა სოციალისტური მეთევზეობის ტექნიკის დასახელებლად და საქართველოს თევზის სარეწაოებისათვის საბჭოთა კავშირის და უცხოეთის თევზის მრეწველობის უკანასკნელ მიღწევათა გადასაცემად.

შ. ბუაჩიძე.

მეღვინეობის პირველი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1934 წლის სურამის საზაფხულო პარტიულ კურსებზე

(დამტკიცებულია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიუროს მიერ ა. წ. 29 აპრილს)

1. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სურამის საზაფხულო პარტიული კურსები მიზნად ისახავს პარტმუშაკების გადამზადებას:

ა) რაიონული კომიტეტების პასუხისმგებელი ინსტრუქტორების,

ბ) საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამარკ.-სატრ. სადგურების მსხვილ პარტორგანიზაციების მდივნების,

გ) მრეწველობის, ტრანსპორტის, სავაჭრო-კოოპერატიულ და საბჭოთა-სამეურნეო ორგანიზაციების მსხვილ პარტორგანიზაციების მდივნების,

დ) მწერლობის და სას.-სამეურნეო რაიონების კ. პ. და ალკ-ს პრესაგანდისტების,

ე) ალკ-ის რაიონული კომიტეტების მდივნების და მდივნების მოადგილეების.

2. კურსებს აქვს ორი განყოფილება: პარტიულ-ორგანიზაციული და პროპაგანდის.

3. მიმდინარე წელს კურსებზე მიღებული იქნება 300 კაცი, რომელიც დანაწილებული იქნებიან 12 სასწავლო ჯგუფად სწავლობო-დარგობრივი ნიშნების მიხედვით.

4. კურსებზე მიცადინეობა დაიწყება 10 ივნისს და გაგრძელდება 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კულტურული მუშაობა, კულტურული დასვენება“

საბავშვო კოოპერაციის მშენებლობა მიზნად ისახავს პრაქტიკულად განახორციელოს ამხ. სტალინის ლოზუნგი „კულტურული მუშაობა, კულტურული დასვენება“.

საბჭოთა ავშირში საბავშვო კოოპერაციას 3-4 წლის არსებობის ისტორია აქვს. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ზოგიერთ სამრეწველო ცენტრში ის ფართოდ განვითარდა (ახლა მიმდინარე წლის 31 იანვრის). საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება საბავშვო-საბაღოსტნო კოოპერაციის შესახებ, რომელიც ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ჩვენში ამ სახის კოოპერაციის განვითარებასა და ზრდას. წარმოებს საორგანიზაციო მოშაობა ამხანაგობების ქსელის შესაქმნელად მთელს რესპუბლიკაში, საბიჭო ავშირის გაბგობის მიერ გადადგმულია ნაბიჯი ამავე ავშირთან საბავშვო-საბაღოსტნო სექციის შექმნისათვის.

ახლახან აღორძინებულს ჩვენს საბავშვო მშენებლობას ფრიად დიდ სამსახურს უწევს საქართველოს საკოოპერაციო ცენტრი — ცეკავშირი. მისმა სატყეო ბაზამ შიძლო ხელშეკრულების დადება. ჩვენში შემოტანილ უნდა იქნას 130 სტანდარტული სახლი 400 საბავშვო საცხოვრებელი ბინა. ამ სახლებიდან მეტი ნაწილი უკვე მიღებულია ტფილისში.



მოსკოვის ცენტროველისოიუზის ახალი სისტემის სტანდარტული საბავშვო სახლი „Д—10“

ცეკავშირის მიერ შეყიდული სახლები, რომლებიც შესაძლებელია საცხოვრებლად და კანტორებისათვისაც იქნეს გამოყენებული, ნაკლებად ხელმისაწვდომია ფართო მასებისათვის, — ბინა ორ ოთახიანი, სამზარეულოთი და ორი აივნით ჯდება დაახლოებით 6000 მანეთი მაშინ, როცა მოსკოვის „ცენტროველისოიუზის“ უკანასკნელი სტანდარტის გამართვებული საბავშვო ბინის ღირებულება არ აღემატება 1500-2000 მანეთს.

ცეკავშირის მიერ გამოწერილი სახლები განაწილებულია შემდეგნაირად: ქუთაისს 10, წნორს 10, ბორჯომს 5, სამტრედიას 10, ამბროლაურს 10. ქობულეთს 3, ზესტაფონს 4, გორს 5, ხოლო, დანარჩენები—ადგილობრივ სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებს და საბავშვო კოოპერატივებს.

ი. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— 21 მაისს საღ. 8 საათზე მწერალთა სახლის დარბაზში შესდგება ვ. პშაველის მოხსენების „ქართული ხალხური სამეხსიერო შემოქმედება“-ს განხილება.

—21 მაისს საღ. 8 ს. მხატვრობის 13 წლის თავის აღსანიშნავ გამოფენაზე შესდგება დაწყებულ დისკუსიის გაგრძელება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ა. დუდუჩავა—თემაზე „ქანდაკება გამოფენაზე“. დ. კაკაბაძე—„გრაფიკა გამოფენაზე“.

ამინდი ამ.-კავკასიაში

3-დან 8 მაისამდე მთელს ამიერ-კავკასიაში იდგა ლამაზი ამინდი, ხან ჭამოშვებით მოდიოდა წვიმები ხანმოკლე 3—4 დღის განმავლობაში წყნეთს თან სდევდა ჰექაქუხილი.

საქართველოში ამინდის მდგომარეობის ახასიათებს შემდეგი ცნობები: 14-დან 17 მაისამდე ჩათვლით დასავლეთ საქართველოში ხანგამოშვებით მოდიოდა წვიმა, ამასთან ნალექების რაოდენობა ცალკე რაიონებში (ორი და ხუთ 7 მილიმეტრს არ აღემატებოდა. დანარჩენ რაიონებში ნალექების რაოდენობა 0-დან 4 მილიმეტრამდე აღწევდა

18 და 19 მაისს მშრალი ამინდი იდგა.

14 და 15 მაისს დასავლეთ საქართველოს ცალკე რაიონებში (წყიფა, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია) ჰქონდა ძლიერი აღმოსავლეთის ქარი

აღმოსავლეთ საქართველოში 10-დან 12 მაისამდე მეტ წილად მშრალი ამინდი იდგა. 13 და 14 მაისს ბორჩალოს და ტფილისის რაიონებში და კახეთში მოვიდა წვიმები. ზოგიერთ რაიონში ნალექების რაოდენობა 9 მილიმეტრამდე აღწევდა ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთელ დასავლეთ ნახევარში (ბორჯომი, ბაკურიანი, ახალციხე, ახალქალაქი, სამხრეთ ოსეთი, გორი) იდგა მშრალი ამინდი.

15 და 16 მაისს აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან მშრალი ამინდია.

17 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში მოვიდა წვიმა ჰექაქუხილით. ალაგ-ალაგ ნალექების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო (გორში—20 მმ., დუშეთში — 15 მმ. ტფილისში 13 მმ. თიონეთში — 52 მმ.

18 და 19 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დასავლეთ რაიონში მეტ წილად მშრალი ამინდი დგას, ხოლო აღმოსავლეთის აღმოსავლეთ რაიონებში მოდის წვიმები ჰექაქუხილით. განსაკუთრებით საგრძნობი წვიმები მოვიდა 18 მაისს ხახეთის რაიონებში (საგარეჯო—26 მმ. სიღნაღი, თელავი—19 მმ.).

მოსალოდნელი ამინდი 19-დან 22 მაისამდე. მთელს ამიერ-კავკასიაში ცალკეული მოღრუბლულობა, ხშირი ქარები და ტემპერატურის მცირეოდენი ცვლილებები. დასავლეთ საქართველოში და აზერბეიჯანში—მშრალი ამინდი. აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთში თერმული ხასიათის ჰექაქუხილი.

23 მაისს მთელს ამიერ-კავკასიაში (დილის 6 საათისთვის) მშრალი ამინდია.

ტემპერატურა საქართველოს ცალკე რაიონებში: სოხუმი—21 გრადუსი, ბათომი — 20 გრ. ქუთაისი—22 გრ. ტყიბული —15 გრ. ლაგოდეხი—18 გრ. ახალციხე —18 გრ. ფოთი—19 გრ.

ახალი სამღერძიანი ავტოგუსი

სტალინის სახელობის ავტომქარხანამ (მოსკოვში) გამოუშვა ახალი სამღერძიანი, ექსპერიმენტალური ავტობუსი „ზის—6-ის“ მარკის. ახალი ავტობუსი წინათ გამოშვებული ავტობუსებისაგან განსხვავდება არა მარტო უფრო სრულყოფილი ფორმით, არამედ მთელი რიგი კონსტრუქციული თავისებურებებითაც.

ავტობუსის ძარის (კუზოვის) აქვს საგრძნობლად უფრო დაბალი ჩარჩო. მოძრაგებული ღერძები ორი მეხრეულით: ცენტრალურით და პიდრავლიკურით. ავტობუსში 30 მოხერხებულად განლაგებული დასაჯდომი ადგილია. დასადგომი ადგილი ავტობუსში არ არის, რადგან იგი დაბინძურება შორეულ მარშრუტებისათვის, ქალაქგარეთ სამოგზაუროდ. ავტობუსის გარეგანი სახე განირჩევა ოშვათი სილამაზით.

ახალი ავტობუსის უპირატესობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ ის მთლიანად სტანდარტული ნაწილებისაგან არის გაკეთებული. ავტობუსზე დადგმულია „ზის“ მარკის სტანდარტული 75 ცხენისძალიანი მოტორი. მაქსიმალის სისწრაფე უდრის 55 კილომეტრს საათში.

ახალი სამღერძიანი ავტობუსი წარმოადგენს საბჭოთა ავტომრეწველობის მნიშვნელოვან მიღწევას.

აჭარისწყლის კურორტები

ქობულეთი და ბათომის ზონის სხვა კურორტები (მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის ძირი) მიჩნეულია საკავშ. მნიშვნელობის კურორტებად.

წელს დიდი მუშაობა ჩატარდა აღნიშნული კურორტების კეთილმოწყობისათვის. ქობულეთში საკურორტო სახტუმროს გვერდით შენდება ახალი დიდი სახტუმრო, 48 ოთახით. შენობა უკვე მზადაა. დარჩენილია შიგნითა სამუშაოები, გეგმის თანახმად სახტუმრო უნდა ამუშავდეს სექტემბერში. ამჟამად მშენებლობა ცემენტის და ხე ტყის დიდ ნაკლებობას განიცდის. თუ ეს დაბრკოლება გადალახული არ იქნა უახლოეს დღეებში, მშენებლობა შეჩერდება.

სახტუმროებს შორის შენდება კლუბი 800 კაცისათვის და სახადილო 250 კაცისა ოვის. ამ შენობების საძირკველი უკვე ჩაყრილია, დამზადებულია საშენი მასალები დიდი რაოდენობა, მაგრამ მუშაობის გაშლას აფერხებს ცემენტის და ხეტყის უქონლობა.

იმავე ქობულეთში არსებულ კურზალის გვერდით აგებულია მეორე კურზალი 250 კაცისათვის. შენობა მზადაა, ამჟამად მიმდინარეობს შეღებვა. კურზალი მზად იქნება 25 მაისისათვის.

ამას გარდა, პირველი კურზალის ეზოში აგებულია ახალი ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსდება ბიბლიოთეკა იკითხველო. საბილიარდო და საჭადრაკო ოთახები.

ქობულეთის ახალ კურორტზე ამჟამად მუშაობს 250 მუშა.

ბათომის ზონის კურორტების (ციხის ძირი, მახინჯაური) მშენებლობა ამ წელს ფართოდ გაიშლება. ციხის ძირში ახალი სახტუმროს მშენებლობა დაიწყება ივნისში. ამ სახტუმროს ექნება 200 ადგილი. ამავე ადგილას აშენდება ახალი სასადილო 250 კაცისათვის. ამ სასადილოს ექნება ორი დიდი დარბაზი, ერთი 150 კაცისათვის, მეორე 100